ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის 1-ლი, მე-2 და მე-3 სასწავლო წლის სტუდენტთა ფინანსური დავალიანების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ’ზ” ქვეპუნქტისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 აგვისტოს № 664 ბრძანების ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის ”ი” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის 1-ლი, მე-2 და მე-3 წლის სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ უნივერსიტეტის მიმართ ფინანსური დავალიანება, ეძლევათ გაფრთხილება, რომ ა.წ. 15 აპრილამდე ვალდებულნი არიან დაფარონ სრული დავალიანების ნახევარი, ხოლო ა. წ. 25 მაისამდე სწავლის საფასური სრულად უნდა იყოს დაფარული.

1. სტუდენტებს, რომლებიც 15 აპრილამდე არ გადაიხდიან დავალიანების ნახევარს, შეეზღუდებათ არგუსის მომსახურება, ხოლო თუ ამ ბრძანებაში მითითებულ პერიოდში არ დაფარავენ სწავლის საფასურს, 12 ივნისის შემდეგ დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი.

1. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს სტატუსი აღუდგებათ მხოლოდ სწავლის საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

1. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

1. დაევალოს კანცელარიას, ბრძანების ასლები მიაწოდოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს, საბაკალავრო პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტს, ფინანსურ სამსახურს, აღრიცხვა - ანგარიშგების დეპარტამენტს, საფინანსო სამმართველოს, იურიდიულ სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი